პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 15 (1651) ხუთშაბათი, 2 თებერვალი, 1961 წ. გამოცემის მე-17 წელი. ფასი 3 კაპ.

## სექციაში აქტიური მუშაობისათვის

1958 წელს სპორტულ საზოგადოება „განთიადთან" ჩამოყალიბდა აგიტაცია-პროპაგანდის საზოგადოებრივი სექცია, რომელმაც თავისი არსებობის პერიოდში კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მხარდაჭერით ნაყოფიერი მუშაობა გაშალა ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაციის საქმეში. სექციის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო „განთიადის" წევრთა და მაჩვენებელთა ზრდას, საზოგადოების ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შეგნებულობისა და დისციპლინის ამაღლებას.

პროფკავშირების ნებაყოფლობითი საზოგადოებათა საკავშირო საბჭომ, მოიწონა „განთიადის" აგიტაცია-პროპაგანდის სექციის მუშაობა. სექციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დიპლომითა და საკავშირო საბჭოს სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა: ბ. კოვალოვი — „განთიადის" აგიტაცია-პროპაგანდის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მაუდ-კამვოლის კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი, მ. დანდუროვი — სექციის წევრი, ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, ა. იორდანიშვილი — სექციის წევრი, ქარხანა „ცენტროლიტის" ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

სიგელებით დაჯილდოვდნენ: ვ. მიქაძე — სექციის წევრი, ქუთაისის აბრეშუმკომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი, მ. ბაბაიანი — სექციის წევრი, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის თანამშრომელი, კ. ნუშტაევი — სექციის წევრი, მწვრთნელი ჭიდაობაში, ნ. ხინველი — სექციის წევრი, ტრიკოტაჟის კომბინატის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, პ. ციცხვაია — სექციის წევრი, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

„განთიადის" აგიტაცია-პროპაგანდის სექციის მუშაობის გამოცდილების შესახებ ეცნობა პროფკავშირების ყველა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოებს, მათვე დაევალა განიხილონ ეს საკითხი და განაზოგადონ „განთიადის" გამოცდილება.

## მეორე ადგილის ოთხი პრეტენდენტი

XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატის მოულოდნელობაა უკრაინის ჩემპიონ ლ. შტეინის თავბრუდამხვევი, ტალისებური ტემპი, რომელიც მან შესთავაზა თავის მრისხანე მეტოქეებს. ამიტომაც სპორტულ პაექრობას ტონს აძლევს ახალგაზრდა ოსტატი. XIII ტურში, როცა უმრავლეს პარტიაში ბრძოლა საყაიმო ტენდენციებით აღინიშნებოდა, შტეინმა მძაფრი თამაში შესთავაზა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს გელერს. ოდესელი გროსმაისტერი თვითონ „ფიცხი" მოჭადრაკეა, მაგრამ ლვოველი ოსტატი უფრო აქტიური აღმოჩნდა. პარტიას მთელი საღამოს მანძილზე მაყურებლები სცამზე „მიჯაჭული" ჰყავდა. იერიშით შტეინმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, რითაც მხარში ამოუდგა გელერს.

ლიდერის, პეტროსიანის შეხვედრა ბრონშტეინთან ყაიმით დამთავრდა. ყაიმი იქნა ფიქსირებული სპასკი-ტარასოვის, ავერბახ-ლუტიკოვის, გუფელდ-ბანიკის პარტიებში. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც მოეწყო XIII ტურის შემდეგ, გაარკვია მდგომარეობა ლიდერთა ბირთვში. სპასკიმ მოახდინა უპირატესობის რეალიზება ბორისენკოსთან და გაიმარჯვა. სმისლოვმა შეძლო ყაიმის მიღწევა ბოლესლავსკისთან. წინ წაიწია კორჩნოი, რომელმაც დაამარცხა ფურმანი და ყაიმზე შეუთანხმდა ჩერეპკოვს.

ჩემპიონატის მონაწილენი გავიდნენ სათბილისო „ბილიკზე". სათამაშო დარჩა მხოლოდ ექვსი ტური. ტურნირის სათავეშია ტ. პეტროსიანი (9 ქულა). მაგრამ მეორე ადგილზე დიდი „სივიწროვეა", რადგან 8,5 ქულით ერთად არიან ე. გელერი, ბ. სპასკი, ლ. პოლუგაევსკი და ლ. შტეინი.



სურათზე: ბათუმის მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა სექცია მეცადინეობაზე.

ფოტო პ. კებებჩიანისა.

## ფენომენალური ნახტომი

„მე ბედნიერი ვარ, რომ შევძელი ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება". — თქვა თავისი ფენომენალური ნახტომის შემდეგ გამოჩენილმა საბჭოთა მძლეოსანმა ვ. ბრუმელმა.

ეს მოხდა ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე „ბურევესტნიკის" მძლეოსანთა შეჯიბრებაზე. მოსკოველმა სტუდენტმა ვ. ბრუმელმა დაძლია სიმაღლე 2 მეტრი და 25 სანტიმეტრი, რაც მის საკუთარ სიმაღლეს 40 სანტიმეტრით აღემატება.

თითქმის 6 საათი ელოდნენ მხტომელები თავიანთ გამოსვლას. უკვე ნაშუაღამევი იყო, როცა ბრუმელმა დაძლია სარეკორდო სიმაღლე. აღტაცებული მაყურებლის თვალწინ თამასა დააყენეს 228 სმ სიმაღლეზე, მაგრამ ბრუმელმა უარი განაცხადა გამოსვლაზე,ვინაიდან ძალზე დაღლილი იყო.

სიმაღლეზე ხტომის ისტორიამ არ იცის შედეგების უფრო სწრაფი ზრდის მაგალითი, რომელიც გაიარა ბრუმელმა ახალბედობიდან მსოფლიოს უძლიერეს მხტომელამდე.

ნიჭიერ საბჭოთა მძლეოსანს განზრახული აქვს აიღოს სიმაღლე 2 მ 30 სმ. სპეციალისტთა და პირველ რიგში მისი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. დიაჩკოვის აზრით, ვ. ბრუმელს ყველა შესაძლებლობა გააჩნია, რომ გაამართლოს იმედები. ამის საწინდარია მისი საუცხოო სპორტული მონაცემები, მაგალითად, 100 მ. ბრუმელი ფარავს 10,7 წამში და ორი ხელით ჰკრავს 125-კილოგრამიან შტანგას.

## საკუთარი სიმაღლე არ არის პრობლემა

იყო დრო, როდესაც ადამიანი სიმაღლეზე ხტომაში დიდი გაჭირვებით სძლევდა საკუთარ სიმაღლეს. მაშინ 2-მეტრიანი ზღვარი სპორტსმენისათვის წარმოუდგენელ სიმაღლედ ითვლებოდა და ასეთ შედეგს ფენომენალურ მაჩვენებლად მიიჩნევდნენ. დღეს 2 მეტრი უძლიერესთა საკვალიფიკაციო ნორმატივია და ბევრი სპორტსმენი შეჯიბრებას სწორედ ამ სიმაღლით იწყებს.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთარი სიმაღლის დაძლევა დღეს მხტომელისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მსოფლიოს წამყვან სპორტსმენთა დიდი ნაწილი თავის სიმაღლესთან შედარებით 30-24 სანტიმეტრით უფრო მაღლა ხტება.

ქვემოთ მოგვყავს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს სპორტსმენთა მაჩვენებლებს, საკუთარ სიმაღლეს და სხვაობას, შედეგსა და საკუთარ სიმაღლეს შორის.

| | შედეგი | საკუთარი სიმაღლე | სხვაობა |
|---|---|---|---|
| ვ. ბრუმელი (სსრკ) | 225 | 185 | 40 |
| ვ. ტრიაპინი (სსრკ) | 200 | 165 | 35 |
| მ. რაზემილა (საფრ.) | 200 | 166 | 34 |
| ვ. სიტკინი (სსრკ) | 215 | 181 | 34 |
| ე. იფეაიუნა (ნიგერია) | 203 | 170 | 33 |
| ვ. ბოლშოვი (სსრკ) | 215 | 183 | 32 |
| ი. სტეპანოვი (სსრკ) | 216 | 185 | 31 |
| რ. კოტეი (განა) | 208 | 177 | 31 |
| ბ. ნილსონი (შვეცია) | 211,4 | 181 | 34,4 |
| რ. შავლაყაძე (სსრკ) | 216 | 186 | 30 |
| ი. კაშკაროვი (სსრკ) | 214 | 184 | 30 |
| ჟ. ფაუსტი (აშშ) | 213 | 183 | 30 |
| ჯ. თომასი (აშშ) | 222,9 | 194,3 | 28,6 |
| ჩ. დიუმასი (აშშ) | 215 | 187 | 28 |
| ს. იგუნი (ნიგერია) | 206 | 178 | 28 |
| ჰ. ოსბორნი (აშშ) | 203,8 | 178 | 25,8 |
| ვ. მარტი (აშშ) | 207 | 182 | 25 |
| ვ. პოლიაკოვი (სსრკ) | 207 | 182 | 25 |
| ე. სალმინენი (ფინეთი) | 210 | 185 | 25 |

## ხელბურთი

დასასრულს უახლოვდება საკავშირო შეჯიბრება ხელბურთში (7X7). უკვე გამოვლინდნენ პირველი ადგილის პრეტენდენტები. ესენი არიან მოსკოვის „ტრუდის" ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებსაც შესაბამისად მოგროვილი აქვთ 5 და 6 ქულა.

გუშინ, ჩვენი ვაჟები შეხვდნენ ერევნის „სპარტაკს". ანგარიში პირველად გახსნეს ერევნელებმა, მაგრამ შემდეგ თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და თამაშის დამთავრებამდე გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში 18 ბურთი, რაზედაც ერევნელებმა მხოლოდ 6 ბურთით უპასუხეს. მატჩი დამთავრდა ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებით — 18:7.

ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა გოგონებმა. მათ დაამარცხეს გომელის „ბურევესტნიკი" ანგარიშით 14:4.

დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები — სკიფი (კიევი)-„ტრუდი" (მოსკოვი) — 4:5, „ქალგირისი" (ვილნიუსი)-ვეფი (რიგა) — 11:8, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)-„ტრუდი" (კალინინგრადი) — 5:8. ვაჟები — „ტრუდი" (მოსკოვი)-სკიფი (ლვოვი) — 21:12, სკიფი (ბაქო)-„ტრუდი" (სერპუხოვი) — 14:11.

## საკავშირო შეჯიბრებები თბილისში

## ფრენბურთი

გუშინ, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ერთმანეთს შეხვდნენ ფრენბურთში 1961 წლის საკავშირო პირველობის მონაწილენი — გასული წლის პრიზიორი (მეორე ადგილი) და „ა" კლასის დებიუტანტი, თბილისის „ბურევესტნიკის" (საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) ვაჟთა გუნდები. მოსალოდნელი იყო, რომ რიგელთა ძლიერი გუნდისათვის, რომელთა რიგებში სხვა მაღალი კლასის მოთამაშეებთან ერთად მონაწილეობდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი ი. ბუგაენკოვი. ადვილი დასაძლევი იქნებოდა თბილისელთა წინააღმდეგობა. მაგრამ მაყურებელთა და ალბათ თვით რიგელთა მოლოდინი არ გამართლდა. პირველი პარტიის დასაწყისშივე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა, რომლებმაც წაიყვანეს ანგარიში საგრძნობი განსხვავებით — 7:3, 9:3, 12:7, 14:9. პირველი პარტიის ბედი გადაწყვიტა თბილისელთა მიერ გათამაშებულმა კომბინაციამ, რომელიც ოსტატურად დააგვირგვინა ვ. კაჭარავამ — 15:9.

თბილისელთა ასეთ იოლ გამარჯვებას პირველ პარტიაში რიგელები არ მოელოდნენ და მეორე პარტიაში მათ წონასწორობის აღდგენა სცადეს მოთამაშეთა ხშირი შეცვლით. მაგრამ ამან მათ სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. წინ კვლავ ბურევესტნიკელები გავიდნენ. ვ. კაჭარავას, ვ. გავრილენკოს, ს. ბუინოვის ძლიერი დარტყმები მიზანს აღწევდნენ და ანგარიში იზრდებოდა თბილისელთა სასარგებლოდ — 10:5, 11:5, 12:6. ამის შემდეგ განსაკუთრებით გათამაშდა ვ. გავრილენკო, რომელმაც რამდენიმე საჭირო ქულა მოუტანა თავის გუნდს. მეორე პარტიის საბოლოო ანგარიშია 15:6 თბილისელთა სასარგებლოდ. ორ პარტიაში დამარცხებისათვის რიგელებმა არასრული რევანში მომდევნო პარტიაში აიღეს, როცა შუა თამაშში შეაჩერეს თბილისელთა წინსვლა, გადაუსწრეს და გაიმარჯვეს კიდეც — 15:13.

ბოლო პარტიაში რიგელებმა თითქმის დაჰყარეს ფარ-ხმალი, რადგან მათ მოწინააღმდეგეს თავიდანვე „ხელგაშლილად" დაუთმეს თავიანთი მოედანი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 15:4.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 3:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

კ. ნადიბაიძე



# აქტივის კრება

ჩატარდა გორის ფიზკულტურული აქტივის კრება. ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში 1960 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგებსა და მიმდინარე წლის ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი.

— სპორტულ ორგანიზაციებს შორის, — თქვა მომხსენებელმა, — თვალსაჩინო მუშაობას ატარებდა „განთიადის" საქალაქო საბჭო (თავმჯდომარე ბ. კილაძე). მართალია, ამ ორგანიზაციიდან ცოტა სპორტსმენია მოხვედრილი ქალაქის ნაკრებ გუნდებში, მაგრამ განთიადმა ჩამოაყალიბა ფეხბურთელთა საკუთარი გუნდი, რომელიც საქართველოს პირველობაზე გამოდის. „განთიადმა" სპორტის რამდენიმე სახეობაში უზრუნველყო საქალაქო შეჯიბრების ჩატარება, გადაჭარბებით შეასრულა ნიშნოსან-თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების დავალება.

„განთიადს" ერთ-ერთი წამყვანი კოლექტივი აქვს ბამბეულის კომბინატში, სადაც მრავალი სექციაა შექმნილი. აღსანიშნავია, რომ აქ სუსტად მუშაობს მძლეოსნობის სექცია. ბოლო ხანებში გამოცოცხლება დაეტყო ფიზკულტურულ მუშაობას საკონსერვო ქარხანაში. ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა როგორც ჩანს სერიოზული ყურადღება მიაქციეს ამ საქმეს.

სამშენებლო ტრესტ № 3 ფიზკულტურულ კოლექტივში კარგად მუშაობდნენ სექციები. საქალაქო შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობენ ქარხანა „გორხელსაწყოს" წარმომადგენლები.

კარგად მუშაობს ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივი. აქ სისტემატურ წვრთნას გადიან ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭიდაობის და სხვა სექციები. ინსტიტუტის სამბისტები საბჭოთა კავშირის ჩემპიონები არიან უმაღლეს სასწავლებელთა შორის. ინსტიტუტის რამდენიმე სპორტსმენი მოხვდა რესპუბლიკის ნაკრებში, მაგრამ, ნაკლოვანებანი აქაც არის. ინსტიტუტში დღემდე ვერ შეძლეს ცურვის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის სექციების შექმნა. ერთ დროს აქ დიდი ხმაურით წამოიწყეს პრაქტიკული სამუშაოები აუზის ასაგებად, მაგრამ შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მისცეს.

აქტივის კრებაზე ერთობ ცოტა ითქვა „სპარტაკის", „დინამოს", „ბურევესტნიკის" ხელმძღვანელობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. მომხსენებელმა მოკრძალებით უსაყვედურა „დინამოს" საბჭოს თავმჯდომარეს კ. ხოდელს ქართული ჭიდაობისადმი უყურადღებობისათვის. აქაური გუნდი ოთხ წელიწადს ზედიზედ ინარჩუნებდა რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ ბოლოს დაკარგა იგი. მომხსენებელმა არაფერი თქვა თვით სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორმა დ. თავზარაშვილმა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ბუთხუზმა, გ. ჯავახიშვილმა (პედინსტიტუტი), ვ. ამბროლაძემ (საკონსერვო ქარხანა), ლ. ლოლაძემ (ფეხბურთის გუნდის „დილას" მწვრთნელი), ნ. დვალმა (ბამბეულის კომბინატი), კ. ხუციშვილმა (სპორტსკოლის დირექტორი) და სხვებმა ილაპარაკეს მთელ რიგ ნაკლოვანებებზე და სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს მუშაკებს მოსთხოვეს ძირეული კოლექტივებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის გარდაქმნა.

ი. თევდორაშვილი



# მათი საბრძოლო დევიზი

გორის ბამბეულის კომბინატის სპორტულ მოედნებზე ყოველთვის სიმრავლეა. ვის არ შეხვდებით აქ: უკვე თმაშევერცხლილსა და ხანშესულებს, ახალგაზრდა დამწყებ სპორტსმენებს. ბევრ მათგანს არა აქვს მაღალი შედეგები, მაგრამ საქმე განა მარტო ამაშია? პირიქით, ის დიდი სიყვარული და მისწრაფება სპორტისადმი, რომელიც კომბინატის მუშებშია დანერგილი, მეტყველებს მათს სწრაფვაზე სპორტის სხვადასხვა სახეობებისადმი.

სწორედ ასეთი მასობრიობის შედეგად მიაღწია წარმატებას კომბინატის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, რომლის შესახებაც ვესაუბრეთ გორის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზიაციების კავშირის თავმჯდომარეს გ. მეყანწიშვილს და „განთიადის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ბ. კილაძეს.

— შრომისმოყვარე და დაუზარელი ბიჭია ჩვენი ნოდარი. სწორედ ამიტომ გავგზავნეთ იგი კომბინატში ფიზკულტურის ინსტრუქტორად და საქმეც კარგად აიწყო, — ამბობენ ისინი ნ. დვალის შესახებ.

უკანასკნელ წლებში კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაციის სახელი გასცდა ქალაქის ფარგლებს. ამ დიდ წარმატებაში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის ფიზკულტურის ინსტრუქტორს ნ. დვალს.

განსაკუთრებით მისაბაძია ველორბოლის სექციის საქმიანობა, რომელსაც თვით ნ. დვალი ხელმძღვანელობს. კომბინატის ველოსიპედისტები ქალაქის მრავალგზის ჩემპიონები არიან. მათთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა გასული წელი. ქალთა გუნდმა საქართველოს პროფკავშირების სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავა და გამარჯვებული დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს.

მათ არც ფეხბურთელები ჩამორჩებიან. გორის „დილამ" (მწვრთნელი ლ. ლოლაძე), რომელიც მთლიანად კომბინატის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, გასულ სეზონში საქართველოს პირველობაზე X ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული გუნდი პირველად თამაშობდა საქართველოს პირველობის პირველ ჯგუფის უძლიერეს გუნდებს შორის, ეს არაა ცუდი შედეგი.

კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თვითეულ საამქროს თავისი ფეხბურთელთა გუნდი ჰყავს და ხშირადაც ატარებენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს. საამქროთა ნაკრები გუნდი წარმატებით გამოდის საქალაქო პირველობაზე. მან ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გამართულ ფეხბურთელთა შეჯიბრებაში, გასულ წელს, გორის სპორტკავშირის გარდამავალი თასი მოიპოვა.

უკვე მესამე წელია ზედიზედ ქალაქის ჩემპიონები არიან აქაური მსროლელები. სექციაში სისტემატურად წარმოებს საწვრთნელი ვარჯიშები, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს დ. ორჯონიკიძე. კომბინატის ფრენბურთელთა გუნდი გასულ წელს მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე II ჯგუფის გუნდებს შორის, ყველა შეხვედრა ძლიერად ჩაატარა და დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ფრენბურთელებმა: საგრეხი საამქროს ქვეოსტატმა გ. ბიჩინაშვილმა, საბეჭდი საამქროს მუშამ ქ. გლურჯიძემ, ელექტრომექანიკოსმა გ. სედოვმა და სხვებმა.

კომბინატის ფიზკულტურის კოლექტივების საბჭომ ამ რამდენიმე დღის წინ ჩამოაყალიბა ბავშვთა სპორტული სკოლა, რომელშიც კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შვილები არიან გაერთიანებული. მათი რიცხვი ჯერჯერობით 60-ს აღწევს, მაგრამ დასაწყისისათვის ეს მცირე არაა.

გასულ წელს სპორტსაზოგადოება „განთიადის" საქალაქო სპარტაკიადაზე კომბინატის სპორტსმენებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო პირველი ადგილი დაიკავეს.

მოპოვებული წარმატებები იმის შედეგია, რომ ფიზკულტურის ძირეულ საბჭოს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ფართო აქტივი და მასთან მჭიდრო კავშირში წარმატებით იბრძვის ახალი გამარჯვებებისათვის.

კომბინატის აქტივმა გამოიჩინა მისაბაძი თაოსნობა, რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მათ საკუთარი ძალებით კეთილმოაწყვეს თავიანთი სტადიონი. აქტივს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელს ააგოს საცურაო აუზი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელს რესპუბლიკაში.

გ. კიკილაშვილი

* * *



**სურათზე:** ზემოდან—კომბინატის კოლექტივის მიერ მოპოვებული სპორტული „ნადავლები", ქვევით — ველორბოლისა და ჭიდაობის სექციები მეცადინეობაზე.

# ვამრავლებთ ჩვენს სპორტულ მიღწევებს

ამ ხუთიოდე წლის წინათ გორის ბამბეულის კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ კარგს ვერაფერს ვიტყოდით, ან რა გვქონდა სალაპარაკო, როცა ჩვენთან მხოლოდ ფრენბურთისა და კალათბურთის სექციები მუშაობდნენ და ისიც ეპიზოდურად. მართალია, ისინი მონაწილეობდნენ საქალაქო შეჯიბრებებში, მაგრამ მათი ადგილი, როგორც წესი, აუტსაიდერთა რიგებში იყო.

ეს იყო წინათ.

ახლა ჩვენი კომბინატის ფიზკულტურული ორგანიზაცია ერთ-ერთი უდიდესია გორში. მის 14 სპორტულ სექციაში 1 300-ზე მეტი ახალგაზრდაა გაერთიანებული, რომლებიც წარმატებით იცავენ მშობლიური საწარმოს სახელს არა მარტო საქალაქო, არამედ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული სპორტის მნიშვნელობა და მისი გამაჯანსაღებელი ზეგავლენა ადამიანზე. ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ადამიანი გაცილებით მეტს აკეთებს და დოვლათს ჰქმნის ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. ამიტომაა, რომ სექციური მუშაობის გარდა დიდ ყურადღებას ვაქცევთ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას. ნათლად იგრძნობა ის, რომ რაც საწარმოო ტანვარჯიშს მეტი გაქანება მიეცით, ამაღლდა მუშათა შრომისუნარიანობა, გაიზარდა პროდუქციის რაოდენობა და მისი ხარისხი.

მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით. კომბინატის ხელმძღვანელობა ყოველთვის დიდ დახმარებას გაუწევს ფიზკულტურულ ორგანიზაციას, რათა კიდევ უფრო ვამრავლოთ ჩვენი სპორტული მიღწევები.

ა. ცარციძე,

გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორი.

**ფიზკულტურული კოლექტივი ჩვენი მუშაობის დასაყრდენია, აქ იჭედება რესპუბლიკის სპორტული მომავალი!**

# მ. ტალი პრაღაში

ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონი მ. ტალი ჩავიდა პრაღაში ჩეხოსლოვაკიის 20 ჭაბუკ მოჭადრაკესთან რადიოთი ერთდროული თამაშის სეანსის პარტიების დასამთავრებლად.

სეანსის პარტიების გაგრძელება მოეწყო—„ლუცერნას“ ვეებერთელა დარბაზში, რასაც დაესწრო პრაღისა და სხვა ქალაქების სპორტული საზოგადოებრიობა.

მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო 11 პარტია და 8 ყაიმით დაამთავრა. ერთი პარტია მან ყაიმით დაამთავრა ჯერ კიდევ რადიოთი თამაშის დროს.

# ა. ბუსლაევი ფინალში

კალუგაში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალი. ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა ს. გერშმანმა (კიევი) და ე. ჩუკაევმა (კაუნასი) — 10 ქულა თვითეულს, რომლებმაც შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა. III-IV ადგილები გაიყვეს თბილისელმა ოსტატებმა ბ. გურგენიძემ და ა. ბუსლაევმა (9,5 ქულა თვითეულს). მე-3 ადგილი, რომელიც ფინალში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა, მიეკუთვნა ა. ბუსლაევს, რომელსაც კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი აღმოჩნდა.

# „კალათბურთი“

## მოსკოვში, რიგასა და ლენინგრადში

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში 5 ქალაქს — მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, თბილისსა და რიგას — გამოჰყავს ორ-ორი კოლექტივი. თანაქალაქელები? შემამულეები პირველსავე ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც ვიუწყებოდით, ორ შეხვედრაში მოულოდნელობას არ ჰქონია ადგილი. მოსკოვის არმიელებმა დაამარცხეს დინამოელები, ხოლო თბილისის „დინამომ“ — „ბურევესტნიკი“. სტატუს ქვა არ დარღვეულა, არც კიევის სკიფისა და „ა“ კლასის დებიუტანტის, კიევის სკვოს შეხვედრაში. უფრო გამოცდილმა სტუდენტებმა შედარებით იოლად დაამარცხეს მოწინააღმდეგენი — 66:54 (30:21).

სხვაგვარად წარიმართა შეხვედრები რიგასა და ლენინგრადში. ევროპის ჩემპიონთა თასის არაერთგზის მფლობელი რიგის არმიელთა გუნდი შეხვდა ვეფის ქარხნის კოლექტივს. პირველი ტაიმი მოიგეს არმიელმა სპორტსმენებმა — 34:24. შეხვედრის მეორე ნახევარში ინიციატივა ხელთ იგდეს ქარხნის კალათბურთელებმა, რომლებმაც ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი წინ გავიდნენ. მატჩის უკანასკნელი წუთები აღინიშნა ვეფის კალათბურთელთა უპირატესობით, რომლებმაც მოიგეს კიდეც შეხვედრა — 63:60.

უკანასკნელ ხანებში ლენინგრადის მეორე გუნდი „სპარტაკი“, როგორც წესი, ამარცხებს ქალაქის საუკეთესო კოლექტივს — „ბურევესტნიკს“. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. მართალია, „სპარტაკმა“ წააგო შეხვედრის პირველი ნახევარი — 26:39, შემდგომში მან შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და მიაღწია დამსახურებულ გამარჯვებას — 62:54.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კალევი“ (ტარტუ)-„ჟალგირისი“ (კაუნასი) — 73:68 (33:28), „სპარტაკი“ (ვილნიუსი)-სკიფი (ბაქო) — 71:69.

გაიმართა ქალთა ტურნირის მორიგი კალენდარული შეხვედრები. ყურადღების ცენტრში იყო მოსკოვის სიმის და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის რიგის ტტტ-ს შეხვედრა. პირველი ნახევარი მოიგეს მოსკოველებმა — 30:27. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 48:48. უძლიერესი ვერ გამოავლინა ვერც პირველმა დამატებითმა ხუთმა წუთმა — 56:56 და მხოლოდ მეორე დამატებით დროში გაიმარჯვეს რიგელებმა — 70:63. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი) - „ბურევესტნიკი“ (როსტოვი) — 56:53 (22:26), „ბურევესტნიკი“ (ნოვოსიბირსკი)-სკიფი (ლენინგრადი) — 57:63 (28:33), „ურალმაშზავოდი“ (სვერდლოვსკი)-სკა (ლენინგრადი) — 34:52 (11:24).

წარუმატებლად ჩაატარა მეორე ტური საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა. ამჯერად იგი ლენინგრადში შეხვდა ადგილობრივ „ბურევესტნიკს“ და დამარცხდა ანგარიშით 42:65. ტარტუს უსკა-მ მოუგო ბაქოს „ბურევესტნიკს“ — 84:42. მეორე შეხვედრა მოიგო რიგის ტტტ-მ. მან დაამარცხა მოსკოვის „ტრუდი“ — 67:61.



აფხაზეთის „კოლმეურნემ“ ჩაატარა საოლქო პირველობა მძლეოსნობაში. სურათზე: 100 მეტრზე რბენის მონაწილენი ფინიშთან. ფოტო ვ. სემიონოვისა.

# მიმდინარეობს სპარტაკიადა საიუბილეო 40

## პ. გავამ აჩვენა ოსტატის ნორმა

ბაკურიანში გამართულ მოთხილამურეთა შეჯიბრების ორი უკანასკნელი დღე განსაკუთრებით მრავალფეროვანი და „უხვმოსავლიანი“ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, სამდღიანი ბრძოლების შემდეგ სპორტსმენები თანდათანობით მიუახლოვდნენ თავიანთ საბრძოლო ფორმას და ამიტომ ბოლო დღეების ასპარეზობებსაც მეტი სიმწვავე მიეცა.

ასეთი ნიშნით დაიწყო, მაგალითად, შეჯიბრება სწრაფდაშვებაში, რომლის ტრასაც 1450 მეტრს უდრიდა და ისევე როგორც სლალომში, გადიოდა კოხტაგორის ფერდობებზე. პირველი „გამოწვევა“ თავის მოწინააღმდეგეებს გაუგზავნა მელკუნოვმა, რომელმაც კარგ სტილში და საკმაოდ კარგი შედეგით დაამთავრა დისტანცია. მისი დრო—1 წუთი და 30,5 წამი — კარგახანს იყო შეჯიბრებაში მონაწილეთა იერიშის ობიექტი, მაგრამ ოთხმა-ხუთმა მოთხილამურემ ისე განვლო ტრასა, რომ მელკუნოვის ლიდერობა უცვლელად დარჩა.

... სტარტი მიეცა გიგანტურ სლალომში, გამარჯვებულ გ. აბრამიშვილს, ახალგაზრდა თბილისელმა სპორტსმენმა ძალიან მაღალ ტემპში გაიარა მოსახვევებიანი მონაკვეთი, კარგად დაძლია პლატოზე დაშვებული ციცაბო და ბრწყინვალე სტილში გაიარა ფინიშისაკენ დაქანებული ბოლო ფერდობიც. ფინიშამდე რჩებოდა სულ რაღაც ხუთი მეტრი და აქ მოხდა დრამატული ამბავი. აბრამიშვილმა ალბათ მიზანი უკვე მიღწეულად ჩათვალა, მოეშვა და... დაეცა. სანამ ის წამოდგებოდა, წამზომის ისარმა, სულ მცირე, წრის მეოთხედი მაინც შემოხაზა, ხოლო ფინიშის ხაზზე სპორტსმენის გავლისას აღინიშნა არასახარბიელო შედეგი—1.42,8. ლიდერს შედეგი პირველად მოუხსნა მესტიელმა ა. დადვანმა—1,29,0 ხოლო შემდეგ წინ გავიდა ბორჯომის რაიონის გუნდის წარმომადგენელი ი. ჯანგობეგოვი — 1.26,4. ეს დრო საუკეთესო აღმოჩნდა შეჯიბრების დამთავრებამდეც და ჯანგობეგოვს პირველი ადგილი ხვდა წილად. ა. დადვანმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა ი. ოგანეზოვი (თბილისი I), რომელმაც ტრასის დაფარვას მოანდომა 1.30,1.



ქალთა შორის ამ სახეობაშიც უძლიერესი აღმოჩნდა ლ. გოგოლაძე — 1.34,3. მან მესამედ მოიპოვა ეს ტიტული ჩემპიონატის მსვლელობაში. მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი — ქ. ჯეირახაშვილი — 1.59,3, ხოლო მესამეზე — ნ. ქურდოღლიანი — 2.02,1.

სწრაფდაშვებით დასრულდა შეჯიბრება სამთო სამჭიდშიც, რომელიც ქალთა შორის დიდი უპირატესობით მოიგო ლ. გოგოლაძემ. მას არცერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ქ. ჯეირანაშვილი—34.38 და რ. ბანდური — 129.65, ვაჟთა შორის სამთო სამჭიდის ჯამში გაიმარჯვა ბაკურიანელმა ჯანგობეგოვმა 3.17.

საინტერესო აღმოჩნდა შეჯიბრება 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაშიც. აქ, უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია ბაკურიანელი პ. გავას შესანიშნავი გამარჯვება: მან არა მხოლოდ პირველი ადგილი დაიკავა ორი საუკეთესო ნახტომის ჯამში (68,5 და 73 მეტრი) და მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება — 227 ქულა, არამედ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმაც. მეორე ადგილზე ამ სახეობაში 217 ქულით გამოვიდა ზ. თვაური, ხოლო მესამეზე — ჯ. თვაური — 182,5.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბიატლონში მონაწილეთა მეტად სუსტი მომზადება სროლაში. პირველ ადგილზე გამოსულმა ა. ქუმარიტაშვილმა (ბორჯომის რაიონი) 20-კილომეტრიანი დისტანციის გავლას 1:34.0 მოანდომა, მაგრამ 20 გასროლიდან მხოლოდ ერთის მოხვედრა შეძლო მიზანში, ჯარიმად მიიღო 38 წუთი (თითო აცილებაზე 2 წუთი ჯარიმაა) და საბოლოო შეფასებაც გაუხდა 2:12.0. 34-34 წუთის ჯარიმა მიიღეს მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულმა ე. მორდვინოვმა და შ. კობახიძემ (ორივე თბილისი I). მათ შესაბამისად მიიღეს შეფასებები 2:12.43 და 2:14.02.

მოგვყავს დანარჩენ სახეობებში მონაწილეთა ტექნიკური შედეგები: ორჭიდი: I ფ. თვაური — 440 ქულა, II ე. თვაური (ორივე — თბილისი) — 428,3 ქულა, III ფ. ფილფანი — 389,9. **რბოლა 5 კმ ქალთა შორის:** I ვ. გავა (ბორჯომის რ-ნი) — 21.57, II ვ. იურკინა (ბათუმი) — 22.58, III ე. გავა (ბორჯომის რ-ნი) — 23.01. **რბოლა 50 კმ ვაჟთა შორის:** I ე. მორდვინოვი (თბილისი I) — 3:23,20, II ნ. კოზანაშვილი (თბილისი I) — 3:28.12, III თ. კორძაია (მესტია)— 3:33,36.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის I გუნდი. მეორე საპრიზო ადგილზეა ბორჯომის რაიონი, მესამეზე — თბილისის II გუნდი.

**ზ. ვადაჭკორია**

* * *

**სურათზე:** რესპუბლიკის საუკეთესო სლალომისტი ლ. გოგოლაძე. ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ბილიკები მოყინულ ტბაზე

ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასე გამოცოცხლებული დაბა ბოგდანოვკა, როგორც 26-27 იანვარს, როცა აქ ტარდებოდა საქართველოს პირველი პირად-გუნდური პირველობა ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში. ეს შეჯიბრება, რომელიც ბოგდანოვკის მახლობლად მდებარე გაყინულ ტბაზე მიმდინარეობდა, შედიოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის პროგრამაში.

მოციგურავეთა შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 61-მა სპორტსმენმა, რომლებიც წარმოადგენდნენ თბილისის ორ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, ახალქალაქის, ბორჯომისა და ბოგდანოვკის გუნდებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და მშრომელთა დიდი მონდომება, რომელმაც შესაძლებელი გახადა შეჯიბრების დროზე და ნორმალურ პირობებში გახსნა. სამი დღით ადრე აქ ძალიან ცუდი ამინდი იდგა, ქროდა ძლიერი ქარი და მოდიოდა თოვლი, რამაც სრულიად წაშალა სარბენი ბილიკები. მაგრამ საქმის ენთუზიასტთა მონდომებამ თავისი გაიტანა. დილიდან საღამომდე მუშაობდნენ ადამიანები, რომ კვლავ სარკესავით მოეპრიალებინათ ასპარეზობის ადგილი და არ გაეწბილებინათ სტარტზე გამოსული სპორტსმენები.

მონაწილეთა ასაკობრივი მონაცემები წარმოადგენდა პირველ სასიხარულო ფაქტს იმ თვალსაზრისით, რომ იგი უზრუნველყოფს ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის პიონერთა ხანგრძლივ გამოსვლას მომავალ შეჯიბრებებში. ყველაზე უფროსი მონაწილის წლოვანება არ აღემატებოდა 23-ს, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა 14 წლის იყო.

პირველ დღეს გაიმართა რბენა 500 და 1500 მეტრზე გოგონათა და ქალებს შორის, ხოლო ჭაბუკებსა და ვაჟებს შორის — 500 და 5000 მეტრზე. 500 მეტრზე გოგონათა შორის გამარჯვებული გამოვიდა თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გ. ბეჟანიშვილი. ჭაბუკთა შორის ამ დისტანციაზე ფინიშთან პირველი იყო ბოგდანოვკელი ვ. ცარუკიანი.

ქალთა შორის 500 მეტრიან დისტანციაზე გამარჯვებული გამოვიდა გ. ჟილინა (თბილისი), ხოლო ვაჟთა შორის — ა. პანიჩევი, რომელიც ყველა დანარჩენ დისტანციაზე უდავოდ და დამაჯერებლად იგებდა რბენებს.

საინტერესო იყო 10.000 მეტრზე რბოლა ვაჟთა შორის, რომელიც მეორე დღეს ჩატარდა, აქ, რასაკვირველია, ა. პანიჩევის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. დაძაბული და მწვავე ბრძოლა გაიმართა მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისათვის. თვით ფინიშამდე გრძელდებოდა მეტად საინტერესო ბრძოლა ჯ. ჩაჩიბაიას, ტ. ბალიაშვილსა და ს. ბდოიანს შორის. მხოლოდ უკანასკნელ მეტრებზე ჩამოიტოვეს უკან ს. ბდოიანი დ. ჩაჩიბაიამ და ტ. ბალიაშვილმა და ერთნაირი შედეგით გაიყვეს მეორე-მესამე ადგილები.

მრავალჭიდის ჯამში ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა გ. ჟილინა, ხოლო ვაჟთა შორის ა. პანიჩევი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის I გუნდი. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან თბილისი II და ბოგდანოვკის გუნდები.

**ა. დვალიშვილი**

# კონკურსი ჩემპიონის სამკერდე ნიშანზე

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს კონკურსს საქართველოს ჩემპიონის სამკერდე ნიშანზე.

სამკერდე ნიშნის საერთო ფონზე უნდა იყოს სპორტის ცალკეულ სახეობათა ამსახველი ფიგურის გამოსახულება (აკრობატი, კალათბურთელი, მოკრივე, თავისუფალი, კლასიკური, ქართული და სამბოს მოჭიდავე, საგზატკეცილო და სატრეკო ველოსიპედისტი, წყალბურთელი, ფრენბურთელი, მხატვრული და სპორტული ტანმოვარჯიშე, აკადემიური და ბაიდარული ნიჩბოსანი, მოისინდე, ცხენბურთელი, მოციგურე, ცხენოსანი, მძლეოსანი, ლელობურთელი, მოთხილამურე, აფროსანი, მოცურავე, წყალში მხტომელი, ხუთჭიდელი, მსროლელი, მესტენდური, ჩოგბურთელი, მაგიდის ჩოგბურთელი, ძალოსანი, ხელბურთელი, მოფარიკავე, ფიგურულად მოსრიალე, ფეხბურთელი, ჰოკეისტი, მოჭადრაკე, მოშაშე).

საუკეთესო სამკერდე ნიშნისათვის დაწესებულია სამი ჯილდო. პირველი ჯილდო — 200 მან. მეორე ჯილდო — 100 მან. მესამე ჯილდო — 50 მან. კონკურსებზე ნიმუშების წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1 მარტი.

მასალები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით — თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4. საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სპორტულ ფედერაციათა განყოფილება.



## საერთაშორისო მაჩების შედეგები

1960 წელი მდიდარი იყო საერთაშორისო შეხვედრებით ფეხბურთში. ჩატარდა ოლიმპიური ტურნირი, ევროპის თასის გათამაშება, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები და ამხანაგური შეხვედრები. ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს მათ შედეგებს. მოგვყავს ევროპის სახელმწიფოთა ნაკრები გუნდების შეხვედრათა შედეგები.

**რუმინეთი**

ბულგარეთი (ოლ. ტურ.) — 1:2, ჩეხოსლოვაკია (ევრ. თასი) — 0:2, 0:3.

**სსრ კავშირი**

პოლონეთი — 7:1, ჩეხოსლოვაკია (ევრ. თასი) — 3:0, იუგოსლავია (ევრ. თასი) — 2:1, გდრ — 1:0, ავსტრია — 1:3.

**უნგრეთი**

ავსტრია (ოლ. ტურ.) — 4:0, ჩეხოსლოვაკია (ოლ. ტურ.) — 2:1, 2:1, ინგლისი — 2:0, შოტლანდია — 3:3, ტუნისი — 10:1, დანია — 0:1, ინდოეთი (ოლ. ტურ.) — 2:1, პერუ (ოლ. ტურ.) — 6:2, საფრანგეთი (ოლ. ტურ.) — 7:0, დანია (ოლ. ტურ.) — 0:2, იტალია (ოლ. ტურ.) — 2:1, იუგოსლავია (ოლ. ტურ.) — 1:1, ბელგია — 1:2, პოლონეთი — 4:1, ავსტრია — 2:0.

**საფრანგეთი**

ბელგია — 0:1, ჩილი — 6:0, ავსტრია (ევრ. თასი) — 4:2, ლუქსემბურგი (ოლ. ტურ.) — 3:5, შვეიცარია (ოლ. ტურ.) — 1:0, იუგოსლავია (ევრ. თასი) — 4:5, ჩეხოსლოვაკია (ევრ. თასი) — 0:2, პერუ (ოლ. ტურ.) — 2:1, ინდოეთი (ოლ. ტურ.) — 1:1, უნგრეთი (ოლ. ტურ.) — 0:7, ფინეთი (მს. პირ.) — 2:1, პოლონეთი — 2:2, შვეიცარია — 2:6, შვეცია — 0:1, ბულგარეთი (მს. პირ.) — 3:0.

**ჰოლანდია**

დიდი ბრიტანეთი (ოლ. ტურ.) — 1:5, ბულგარეთი — 4:2, დიდი ბრიტანეთი (ოლ. ტურ.) — 2:2, ეირე (ოლ. ტურ.) — 3:6, ბელგია — 2:1, 1:4, 4:1, შვეიცარია — 1:3, ჩეხოსლოვაკია — 0:4.

**ჩეხოსლოვაკია**

უნგრეთი (ოლ. ტურ.) — 1:2, 1:2, ავსტრია (ოლ. ტურ.) — 2:1, ავსტრია — 4:0, რუმინეთი (ევრ. თასი) — 2:0, 3:0, სსრ კავშირი — (ევრ. თასი) — 0:3, საფრანგეთი (ევრ. თასი) — 2:0, ჰოლანდია — 4:0.

**შვეიცარია**

იტალია — 0:3, ბელგია — 1:3, ლუქსემბურგი (ოლ. ტურ.) — 0:0, 2:2, ჩილი — 4:2, საფრანგეთი — (ოლ. ტურ.) — 0:1, ჰოლანდია — 3:1, საფრანგეთი — 6:2, ბელგია (მს. პირ.) — 4:2.

**შოტლანდია**

ინგლისი — 1:1, პოლონეთი — 2:3, ავსტრია — 1:4, უნგრეთი — 3:3, თურქეთი — 2:4, უელსი — 0:2, ჩრ. ირლანდია — 5:2.

**იუგოსლავია**

მაროკო — 5:0, ტუნისი — 5:1, 7:0, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა — 1:0, ისრაელი (ოლ. ტურ.) — 1:2, საბერძნეთი (ოლ. ტურ.) — 5:0, პორტუგალია (ევრ. თასი) — 1:2, ინგლისი — 3:3, პორტუგალია (ევრ. თასი) — 5:1, საფრანგეთი (ევრ. თასი) — 5:4, სსრ კავშირი (ევრ. თასი) — 1:2, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა (ოლ. ტურ.) — 6:1, თურქეთი (ოლ. ტურ.) — 4:0, ბულგარეთი (ოლ. ტურ.) — 3:3, იტალია (ოლ. ტურ.) — 1:1, დანია (ოლ. ტურ.) — 3:1, უნგრეთი — 1:1.

**შვეცია**

ეირე — 4:1, ფინეთი — 3:0, ნორვეგია — 1:3, ბელგია (მს. პირ.) — 2:0, დანია — 2:0, საფრანგეთი — 1:0.

## ნ. როსი მანდევნეს ნაკრებიდან

1958 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა არგენტინის ნაკრები სპეციალური თვითმფრინავით გაამგზავრეს შინისაკენ შორეული შვეციიდან.

ეს სპეციალური თვითმფრინავი ფეხბურთელებს გაუგზავნეს არა მეტისმეტი სიყვარულის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩრდილოეთიდან ჩამოსულ ყოველ სარეისო საჰაერო მანქანას ბუენოს-აირესის აეროპორტზე არგენტინელ გულშემატკივართა საგანგებო პატრულები დარაჯობდნენ და ასეთ დროს სამარცხვინოდ დამარცხებულ ფეხბურთელთა შეხვედრა გულშემატკივრებთან შეიძლებოდა უბედური შემთხვევითაც დამთავრებულიყო.

თვითმფრინავი, რომელსაც ნაკრები მიჰყავდა, ნაშუაღამევს ჩუმად დაეშვა რომელიღაც სათადარიგო ბილიკზე და ფეხბურთელები კონტრაბანდასავით შეაპარეს დედაქალაქში.

დიდხანს ემალებოდნენ ნაკრების წევრები განრისხებულ ხალხს და მხოლოდ ერთ, ერთადერთ ფეხბურთელს ჰქონდა უფლება გამოსულიყო ქუჩაში, საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე. ეს იყო გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი ნესტორ როსი, აქაურ გულშემატკივართა სათაყვანო კერპი.

ნ. როსი ამჟამად 34 წლისაა, მაგრამ ძველებურად ძლიერად თამაშობს და ცენტრალური ნახევარმცველის პოსტზე ჯერჯერობით უძლიერესად ითვლება. მიუხედავად ამისა, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ იგი არ შეიყვანა გუნდის შემადგენლობაში.

რაშია საქმე? რა არის ასეთი ბოიკოტის მიზეზი?

ყოველდღიურ ცხოვრებაში უაღრესად თავაზიანი, ზრდილი და გულისხმიერი ადამიანი, მინდორზე, თამაშის დროს საოცარ ცვლილებას განიცდის. აქ იგი კარგავს ზომიერებისა და თავდაჭერის ყოველგვარ გრძნობას, ელემენტარული მოქცევის წესებს. საკმარისია სულ მცირე საბაბიც კი და ნ. როსი წამსვე იწყებს უხეშობას, ჩხუბს, გაუთავებელ დავას მსაჯებთან. არგენტინელი ფეხბურთის მოყვარულნი ახლაც ღიმილით იხსენებენ ნ. როსის მეუღლის მიერ ერთ-ერთი მატჩის დროს წარმოთქმულ სიტყვებს: ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ჩემი ქმარია!

ნ. როსი 18-ჯერ იქნა მინდორიდან გაძევებული და საერთო ჯამში მიღებული აქვს 66 კვირა დისკვალიფიკაცია. აი ამიტომ არ წავიდა არგენტინის ნაკრები საეჭვო რისკზე და გარიცხა მუდმივი შფოთისა და აყალმაყალის თავი ნაკრებიდან, თუმცა იგი ბრწყინვალე ფეხბურთელი, გამობრძმედილი ტაქტიკოსი და დაცვის ნამდვილი ორგანიზატორია.

ნ. როსმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი და საერთოდ დაანება თავი ფეხბურთის თამაშს. ახლა იგი მწვრთნელად მუშაობს.

## ევროპის ჩემპიონთა თასზე

როგორც ცნობილია, იტალიის ჩემპიონი კალათბურთში „სიმენტალი" არ მონაწილეობს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. იგი დასჯილია იმის გამო, რომ მან გასულ წელს ჩაშალა თასის კალენდარული მატჩი ეგვიპტის ჩემპიონთან.

მიმდინარე წლის გათამაშებაში დაშვებულ იქნა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გამოსული გუნდი „ვირტუსი" (ბოლონია), რომელმაც ამას წინათ თავის მოედანზე მიიღო რუმინეთის ჩემპიონი კკპ (ბუქარესტი). საინტერესო ბრძოლა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 70 : 56.

* * *

ლისაბონში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიის „ანვერსი" და პორტუგალიის ჩემპიონი „სპორტინგი". გამარჯვება ანგარიშით 62 : 51 მოიპოვეს ბელგიელმა სპორტსმენებმა.

* * *

ევროპაში სტუმრად იმყოფება ბრაზილიის კალათბურთელთა ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ფუპე". ამას წინათ ბრაზილიელებმა ამხანაგური მატჩი ჩაატარეს ზაგრებში (იუგოსლავია) ადგილობრივ „ლოკომოტივთან". გამარჯვება ანგარიშით 80 : 64 მოიპოვეს მასპინძლებმა.

## მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები

ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა" გამოაქვეყნა მსოფლიოს 15 უძლიერესი ჩოგბურთელის სია: 1. გონსალესი (აშშ), 2. როსუელი (ავსტრალია), 3. ჰოადი (ავსტრალია), 4. სეიდმენი (ავსტრალია), 5. კუპერი (ავსტრალია), 6. ანდერსონი (ავსტრალია), 7. სეგურა (ეკვადორი), 8. ტრაბერტი (აშშ), 9. ფრეზერი (ავსტრალია), 10. ოლმედო (პერუ), 11. ლაუერი (ავსტრალია), 12. პიეტრანჯელი (იტალია), 13. მაკ კეი (აშშ), 14. გიმენო (ესპანეთი), 15. აიალა (ჩილი).





საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკის კოლექტივი.

სურათებზე: ზევით — ლ. ძაძიგური, ქვევით — ჯ. ჭელიძე მოწინავე მუშები არიან და საწარმოო დავალებებს წარმატებით ასრულებენ.

ფოტო ვ. გოგაძისა.

რედაქტორი ი. უგულავა.

მიმდინარეობს

მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის უნივერსიტეტების სპორტული კოლექტივების ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში, ჩოგბურთში, ფარიკაობაში, სამბოსა და ტანვარჯიშში

შეჯიბრებები მიმდინარეობს უნივერსიტეტის, ვ. ი. ლენინის სახელობისა და სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშულ დარბაზებში.

დღეს!

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი
საკავშირო პირველობა
კალათბურთში

«დინამო» (თბილისი) — ცსკა (მოსკოვი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ხვალ!

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი
საკავშირო პირველობა
ფრენბურთში
ვაჟები

«ბურევესტნიკი» (თბილისი) — «დინამო» (მოსკოვი)

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს თბილისის სპორტნავებობათა სამმართველოს უფროსს ნ. პაშიკოვს მეუღლის

სოფიო ივანეს ასულ ხოჯაშვილ-პაშიკოვას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს მთავარ მწვრთნელს ჭადრაკში გ. გაჩეჩილაძეს მისი ძმის

ალექსანდრე ივანეს-ძე გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05...